



საქართველო

ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერის

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა



ქალაქი ფოთი

№ 04/82

22 / იანვარი / 2020 წ.



KA000078190606120

ქალაქ ფოთი, ლარნაკას ქუჩა, კოკაიას ხეივანი N1-ში (ს/კ N 04. 01. 03. 925) შპს „ჯორჯიან ტრანს ექსპედიცია ფოთი“-ს საბაჟო დათვალიერების შენობის და გამშვები პუნქტის პროექტის შეთანხმებისა და მშენებლობის ნებართვის გაცემის შესახებ


ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერს, 2019 წლის 19 დეკემბერს, N75 წერილით მომართა შპს „ჯორჯიან ტრანს ექსპედიცია ფოთი“-ს დირექტორმა და ითხოვა ქალაქ ფოთში, ლარნაკას ქუჩა, კოკაიას ხეივანი N1-ში საბაჟო დათვალიერების შენობის და გამშვები პუნქტის პროექტის შეთანხმება და მშენებლობის ნებართვის გაცემა. ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერიის არქიტექტურის, სივრცითი მოწყობისა და ადმინისტრაციული ზედამხედველობის სამსახურმა შეისწავლა ზემოაღნიშნული საკითხი და დაადგინა, რომ შპს „ჯორჯიან ტრანს ექსპედიცია ფოთი“-ს წერილი და თანდართული დოკუმენტაცია აკმაყოფილებს „მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ“ საქართველოს მთავრობის, 2009 წლის 24 მარტის, N57 დადგენილების, „ტექნიკური რეგლამენტის - დასახლებათა ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების ძირითადი დებულებების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის, 2014 წლის 15 იანვრის, N59 დადგენილებისა და საქართველოში მოქმედი ნორმატიული აქტების მოთხოვნებს. ამდენად, შესაძლებელია ქალაქ ფოთი, ლარნაკას ქუჩა, კოკაიას ხეივანი N1-ში (ს/კ N 04. 01. 03. 925) შპს „ჯორჯიან ტრანს ექსპედიცია ფოთი“-ს საბაჟო დათვალიერების შენობის და გამშვები პუნქტის პროექტის შეთანხმება და მშენებლობის ნებართვის გაცემა. საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 54-ე მუხლის პირველი პუნქტის „ე.ე“ ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის მე-3 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, საქართველოს კანონის „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“ 52-ე და 53-ე მუხლების შესაბამისად,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ ა:

1. დამტკიცდეს ქალაქ ფოთი, ლარნაკას ქუჩა, კოკაიას ხეივანი N1-ში (ს/კ N 04. 01. 03. 925) შპს „ჯორჯიან ტრანს ექსპედიცია ფოთი“-ს საბაჟო დათვალიერების შენობის და გამშვები პუნქტის პროექტი (თანახმად დანართისა) და გაიცეს მშენებლობის ნებართვა 2020 წლის 27 იანვრიდან 2020 წლის 27 ივლისამდე.
2. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს, მისი კანონმდებლობით გათვალისწინებული წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში, ფოთის საქალაქო სასამართლოში (მის. ქალაქი ფოთი, დავით აღმაშენებლის ქუჩა N3).

3. დაინტერესებულ პირებს უფლება აქვთ ბრძანებას და მასზე თანდართულ დოკუმენტაციას გაეცნონ ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერიაში (მის. ქალაქი ფოთი, აღმაშენებლის №12).
4. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერი

ხელმოწერილია/
შტამგდასმულია
ელექტრონულად 

გონა კურდღელია